მეზობელ ქვეყნებში ექსტრადიციის მანკიერი და არაადამიანური პრაქტიკა

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

შინაარსი

შესავალი 2

საქართველოდან პირთა ექსტრადიციის სამართლებრივი საფუძვლების მიმოხილვა 3

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების დარღვევის რისკების შეფასების პრობლემური სტანდარტები 5

უფლების დარღვევის რისკების გაბათილება დიპლომატიური გარანტიების მეშვეობით 8

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების მიმართ საექსტრადიციო პროცედურების დროს გამოვლენილი სხვა დარღვევები 11

- აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები 11
- თხოვნის გამგზავნის სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ბრალდებების დაუსაბუთებლობა ... 12

ადამიანის უფლებების ზოგადი მდგომარეობის მიმოხილვა რუსეთის ფედერაციაში, თურქეთის რესპუბლიკაში, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში 14

- რუსეთის ფედერაცია 14
- თურქეთის რესპუბლიკა 15
- აზერბაიჯანის რესპუბლიკა 16

შეჯამება 16

მეზობელ ქვეყნებში ექსტრადიციის მანკიერი და არაადამიანური პრაქტიკა

მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის, რუსეთში ექსტრადიციის პრაქტიკის კრიტიკული მიმოხილვა

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში განხილულია 2017-2020 წლებში საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში, თურქეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში პირთა ექსტრადირების საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოვლენილი ძირითადი პრობლემური ტენდენციები და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებთან.

2017-2020 წლებში ცნობილი გახდა არაერთი საქმის შესახებ, რომელიც საქართველოში მყოფი რუსეთის ფედერაციის, თურქეთის რესპუბლიკის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეებისთვის საერთაშორისო დაცვის სტატუსის მინიჭებაზე უარი თქმის დაუსაბუთებელ, უკანონო პრაქტიკას და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ექსტრადირების მოთხოვნის დაკმაყოფილებას შეეხებოდა, მაშინ როდესაც შესაბამისი პირები, საკუთარ ქვეყნებში დევნის, წამების, არასათანადო მოპყრობისა და სასჯელის გამოყენების მაღალ რისკზე უთითებდნენ. მაგალითისთვის აღსანიშნავია რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირებული იაროსლავ სუმბაევის[1], რამზან ახიადოვის[2] საქმეები, რომლებიც რუსეთის ფედერაციაში წამებისა და არასათანადო მოპყრობის მაღალ რისკებზე მიუთითებდნენ. აღსანიშნავია მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმე, რა დროსაც ფეტულაჰ გიულენის მიმდევარი მ. ჩაბუქის[3] თურქეთში ექსტრადიცია მხოლოდ ფართომასშტაბიანი პროტესტის შემდგომ შეჩერდა.

სოციალური სამართლიანობის ცენტრმა (ყოფილი ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) 2018 წელს შეისწავლა[4] საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანის მთავრობის მიმართ კრიტიკულად განწყობილი და დევნას დაქვემდებარებული არაერთი აქტივისტის, ოპოზიციონერი პოლიტიკოსის, ჟურნალისტის საქმე და მიუთითა მათ მიმართ საქართველოში საერთაშორისო დაცვის სტატუსისა და ბინადრობის ნებართვის პროცესში გამოვლენილი უკანონო პრაქტიკის შესახებ. თითოეული საქმის ანალიზი აჩვენებდა აზერბაიჯანის ხელისუფლების მიმართ საქართველოს მთავრობის პოლიტიკურ ლოიალობას და აჩენდა ეჭვს ორი ქვეყნის სამართალდაცავ ორგანოებს შორის არაფორმალური უკანონო თანამშრომლობის თაობაზე. აღნიშნულის მსგავსად, საქართველოში მყოფი პირების თურქეთში და რუსეთში ექსტრადიციის ჩვენს მიერ შესწავლილი შემთხვევებშიც იკვეთება პოლიტიკური ლოიალობისა და ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევის რისკების არასათანადო შეფასების ტენდენციები. კერძოდ, ექსტრადიციის საქმეებთან დაკავშირებული მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ რუსეთის ფედერაციის, თურქეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების მიერ

---

[1] იაროსლავ სუმბაევის საქმე, იხ: https://tabula.ge/ge/topic/128589

[2] რამზან ახიადოვის საქმე, იხ: https://reginfo.ge/politics/item/16808-saqartvelom-etnikurad-checheni-ramzan-axiadovi-rusets-gadasza

[3] მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმე, იხ: https://www.radiotavisupleba.ge/a/chabuki-tavisufalia/29048106.html

[4] აზერბაიჯანელი ჟურნალისტების და აქტივისტების საქმეების მიმოხილვა, ხელმისაწვდომია: https://emc.org.ge/ka/products/azerbaijaneli-zhurnalistebis-da-aktivistebis-sakmeebis-mimokhilva

მათი მოქალაქეების საქართველოდან ექსტრადირების მოთხოვნა უმეტესად კმაყოფილდება იმგვარად, რომ პროცესში არ არის გათვალისწინებული მითითებულ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებების, მით უფრო საპატიმრო დაწესებულებებში არსებული ვითარება დასამართლიანი სასამართლოს პრინციპის დარღვევის პრაქტიკა. მაშინაც კი როდესაც აღნიშნულზე ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირი უთითებს, სასამართლო და იუსტიციის სამინისტრო უფლების დარღვევის რისკებს შესაბამისი სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი დიპლომატიური გარანტიების გაცემით აბათილებს და საერთოდ არ ითვალისწინებს ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს კონკრეტულ ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. ამასთან, გამოიკვეთა ექსტრადირებას დაქვემდებარებული პირების მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სიხშირე და საქმის გარემოებებთან შეუსაბამობა.

წარმოდგენილი ანალიტიკური დოკუმენტი ეფუძნება ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთა ადვოკატებისგან აღებულ ახსნა-განმარტებებს (სოციალური სამართლიანობის ცენტრი ესაუბრა 10 ადვოკატს), საქართველოს ოფიციალური უწყებებიდან მიღებულ ოფიციალურ სამართლებრივ დოკუმენტებს, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და მედია საშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას. სამწუხაროდ, ჩვენი არა ერთი მოთხოვნის მიუხედავად[5], ამ დრომდე საქართველოს იუსტიციის სამისტროს არ გაუზიარებია მნიშვნელოვანი სტატისტიკური ინფორმაცია ექსტრადიციის საქმეებთან დაკავშირებით. მათ შორის, უწყება არ გვიზიარებთ ინფორმაციას, უკვე ექსრადირებული პირების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგის პროცესისა და მისი შედეგების შესახებ. იუსტიციის სამინისტრომ მხოლოდ 2019 წლის 3 ოქტომბერს გაგვიზიარა ინფორმაცია, რომ 2013-2019 წლებში რუსეთის ფედერაციის მიერ მთლიანობაში 23 ადამიანის ექსტრადიციის მოთხოვნა იყო წარდგენილი და მათგან 14 შემთხვევაში ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა. ანუ რუსეთის ფედერაციის შუამდგომლობების ნახევარზე მეტი საქართველოს ხელისუფლებამ დააკმაყოფილა, რაც ძალიან მაღალი მონაცემია.

აღნიშნულ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია, რომ ის ნიუანსირებულად აანალიზებს ექსტრადიციის კონკრეტულ საქმეებს. კონკრეტულ საქმის მასალებზე წვდომის მოპოვება რთული აღმოჩნდა ტექნიკური ბარიერების გამო. წარმოდგენილი დოკუმენტი ექსტრადიციის პროცესში უფლების დარღვევის ძირითადი პატერნების და პრობლემური პრაქტიკების მიმოხილვით შემოიფარგლება. აღნიშნული ზოგადი მიგნებების წარმოდგენის კი ჩამოყალიბებული პრობლემური სასამართლო პრაქტიკის ცვლილება და გაუმჯობესებაა. ასევე, პოლიტიკურ დღის წესრიგში მეზობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის გახშირებული თვითნებური პრაქტიკების შეჩერების ინტერესი და საჭიროება.

საქართველოდან პირთა ექსტრადიციის სამართლებრივი საფუძვლების მიმოხილვა

ექსტრადიცია წარმოადგენს ფორმალურ პროცედურას, რა დროსაც ადგილი აქვს პირის ერთი ქვეყნის მიერ (თხოვნის მიმღები სახელმწიფო) მეორე ქვეყნისთვის (თხოვნის გამგზავნი

[5] სოციალური სამართლიანობის ცენტრმა საქართველოდან რუსეთში, თურქეთში და აზერბაიჯანში განხორციელებული ექსტრადიციის რაოდენობის შესახებ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მოთხოვნით იუსტიციის სამინისტროს 2020 წლის 30 ოქტომბერს და 2021 წლის 15 მარტს მიმართა, თუმცა იუსტიციის სამინისტრომ ინფორმაცია არცერთ შემთხვევაში არ მოგვაწოდა

სახელმწიფო) გადაცემას პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების, ან განაჩენის აღსრულების მიზნით6. ექსტრადიციის ინსტიტუტს სახელმწიფოებისთვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ვინაიდან ის არა მხოლოდ დამნაშავეთა დასჯის საშუალებას წარმოადგენს, არამედ სახელმწიფოებისთვის ტრანსნაციონალურ დანაშაულთან და ტერორიზმთან ბრძოლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

ექსტრადიციის პროცესთან დაკავშირებული საკითხები, როგორც წესი ეროვნული კანონმდებლობით, სახელმწიფოთა შორის დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებებით, ან ნაცვალგების პრინციპით წესრიგდება. საქართველოში ექსტრადიციის მარეგულირებელ ძირითად სამართლებრივ აქტს წარმოადგენს ,,სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ", ევროპული კონვენცია ექსტრადიციის შესახებ და ცალკეულ სახელმწიფოებთან (მათ შორის რუსეთის ფედერაციასთან, თურქეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებთან) დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებები.

,,სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, ექსტრადიციის თაობაზე საკითხის განხილვის კომპეტენცია იუსტიციის სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურას გააჩნია, ხოლო ექსტრადიციის დასაშვებობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება სასამართლოსა და იუსტიციის მინისტრის პასუხისმგებლობაა. კანონის 34-ე მუხლის თანახმად ექსტრადიციის თაობაზე უცხო სახელმწიფოს შუამდგომლობის მიღების შემდგომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ან გენერალური პროკურატურა აფასებს თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა წარმოდგენილია თუ არა ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით და შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში გენერალური პროკურატურა მიმართავს სასამართლოს ექსტრადიციის დასაშვებად ცნობის მოთხოვნით. სასამართლო პროკურატურისა და ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მოსაზრებების მოსმენის შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას ექსტრადიციის დასაშვებად ცნობის, ან დაუშვებლობის შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება საჩივრდება უზენაეს სასამართლოში. იმ შემთხვევაში თუ უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო ექსტრადიცია იუსტიციის მინისტრი ვალდებულია გამოცეს ბრძანება ექსტრადიციის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. თუმცა, იმ შემთხვევაში თუ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდგომ უზენაესი სასამართლოც დასაშვებად მიიჩნევს ექსტრადიციას, იუსტიციის მინისტრს აქვს შესაძლებლობა მიიღო ექსტრადიციის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება. შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების მიუხედავად იუსტიციის მინისტრს აქვს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და ექსტრადიციაზე უარის თქმის შესაძლებლობა.

ექსტრადიცია დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია კანონში და ექსტრადიციის შესახებ ევროპულ კონვენციაში მითითებული მოთხოვნები. კერძოდ ექსტრადიციის დასაშვებობისთვის აუცილებელია, რომ დანაშაული რომლის ჩადენისთვისაც მოითხოვება პირის ექსტრადირება საქართველოს კანონმდებლობითა და თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს კანონმდებლობით ისჯებოდეს მინიმუმ 1 წლით თავისუფლების აღკვეთით, დანაშაულს არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკური ხასიათი, არ უნდა იყოს სამხედრო დანაშაული, უნდა გამოირიცხოს ორმაგი მსჯავრის დადების შესაძლებლობა, ექსტრადირებას დაქვემდებარებული პირი არ უნდა

[6] სახელმძღვანელო ექსტრადიციისა და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ, UNHCR, 2008, გვ. 5

იყოს საქართველოს მოქალაქე, ან საერთაშორისო დაცვის სტატუსის ქვეშ და მის მიმართ საქართველოში არ უნდა მიმდინარეობდეს სამართალწარმოება. აღნიშნულ საფუძვლებთან ერთად, კანონი ითვალისწინებს ექსტრადიციის გამომრიცხავ სხვა გარემოებებს, რომლებიც უკავშირდება თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების მდგომარეობას. კანონის 29-ე მუხლის თანახმად, ექსტრადიცია დაუშვებელია თუ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ პირი დაექვემდებარება დევნას დაცული ნიშნების საფუძველზე, ან დაექვემდებარება წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს. ექსტრადიცია დაუშვებელია იმ შემთხვევაში თუ პირის არასრულწლოვანებიდან, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან, ან პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, ქმედების ბუნების და ექსტრადიციის მომთხოვნი სახელმწიფოს ინტერესების მხედველობაში მიღებით ითვლება, რომ ექსტრადიცია აშკარად არ შეესაბამება ადამიანური მოპყრობის ძირითად სტანდარტებს. ამასთან ერთად, მითითებული ნორმის მიხედვით ექსტრადიციაზე უარი შესაძლოა განპირობებული იყოს იმით, რომ ის ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას ან ძირითად ინტერესებს ან ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს სასჯელი შეიძლება მიესაჯოს სპეციალური სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ. ამდენად, ექსტრადიციის დასაშვებობისთვის ფორმალური პროცედურებისა და სამართლებრივი საფუძველების შემოწმების მიღმა, საქართველოს (თხოვნის მიმღებ სახელმწიფოს) ეკისრება ვალდებულება შეაფასოს ხომ არ არსებობს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების მძიმე დარღვევის რისკები, ვინაიდან სხვა შემთხვევაში შესაძლოა სახელმწიფომ დაარღვიოს ექსტრადიციის დაუშვებლობის ძირითადი პრინციპები და საერთაშორისო ვალდებულებები.

ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთა მიმართ თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში უფლების დარღვევის რისკების შეფასების სტანდარტებს კანონმდებლობა არ უშუალოდ არ ითვალისწინებს და ეს საკითხი სამართალწარმოების პრაქტიკით რეგულირდება. ამ მიმართულებით ითვალისწინებენ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ინდივიდუალურ მახასიათებელს, თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვის შესაძლებლობებს, კონვენციური ნიშნით დევნის პრაქტიკას და ა.შ.[7] არგაძევების ვალდებულებასთან დაკავშირებით გაეროს სახელშეკრულებო ორგანოები მუდმივად მიუთითებდნენ, რომ სახელმწიფომ არსებული რისკები უნდა შეაფასოს მიმღებ სახელწმიფოში ადამიანის უფლებების დაცვის ზოგადი სიტუაციიდან[8] და, თუ შესაძლებელია კონკრეტული უფლების ასპექტებიდან გამომდინარე.[9]

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების დარღვევის რისკების შეფასების პრობლემური სტანდარტები

საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში, თურქეთის რესპუბლიკაში და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის შემთხვევების ანალიზი აჩვენებს, რომ როგორც წესი ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირები თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში მათ მიმართ

[7] ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სასამართლო პრაქტიკის გზამკვლევი იმიგრაციის საკითხები, ევროპის საბჭო, 2019

[8] CAT, Abichou v Germany No. 430/2010 16 July 2013

[9] CCPR, M.I. v. Sweden, Communication no. 2149/2012, 26 September 2013, 7.5

დევნის, წამებისა, არასათანადო მოპყრობის რისკებზე უთითებენ[10]. შესაბამისად, გენერალური პროკურატურა და სასამართლო ვალდებულია შეაფასოს რისკების არსებობა, ერთმანეთისგან გამიჯნოს უფლების დარღვევის შესაძლებლობა და სისხლისსამართლებრივი დევნისგან თავის არიდების მცდელობა.

როგორც ეროვნული აგრეთვე საერთაშორისო სამართალწარმოების პრაქტიკით დგინდება, რომ დევნის, წამების, არასათანადო მოპყრობის შესახებ მტკიცების ტვირთი ძირითადად ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს აწევს, თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს თხოვნის მიმღები სახელმწიფოს ვალდებულებას თავადაც მოიძიოს ინფორმაცია ადამიანის უფლებათა დარღვევის რისკების შესახებ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ხელმომწერი სახელმწიფო ვალდებულია შეაფასოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები, და საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვოს დამატებითი მტკიცებულებები მიმღები სახელმწიფოდან,[11] ასევე დაეყრდნოს საკითხთან დაკავშირებით ყველა ობიექტურ და რელევანტურ მასალას.[12] ასევე, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო მოითხოვს, რომ გამგზავნა სახელმწიფომ არ დააკისროს გადამეტებული ტვირთი განმცხადებელს კონვენციის მე-3 მუხლის შესაძლო დარღვევის დასამტკიცებლად.[13] მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით, ქართული სასამართლო პრაქტიკა იშველიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და ადგენს, რომ ,,რეალურობის მტკიცების ვალდებულება ეკისრება კასატორს, რომელმაც უნდა წარმოადგინოს აღნიშნული საფრთხის დამადასტურებელი კონკრეტული და სარწმუნო მტკიცებულებები“.[14] სასამართლოს ამგვარი შეფასება მკვეთრად არ განსხვავდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სტანდარტებისგან, თუმცა გასათვალისწინებელია როგორ აფასებენ საერთო სასამართლოები წარდგენილი მტკიცებულების რეალურობას და ინდივიდუალურ გარემოებებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, ერთ-ერთ საქმეში, სადაც პირი თურქეთის რესპუბლიკაში პოლიტიკური ნიშნით დევნაზე მიუთითებდა უზენაესი სასამართლომ აღნიშნა, რომ დაცვის მხარეს არ წარუდგენია წერილობითი განცხადება ან მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის პოლიტიკურ აქტიურობას და ამ ნიშნით მისი დევნის შესაძლებლობას[15]. შესაბამისად, სასამართლო აწესებს სტანდარტს - პირმა უნდა წარადგინოს რეალური მტკიცებულებები მისი მახასიათებლის შესახებ (მაგალითად, პოლიტიკური ორგანიზაციის წევრობა, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები და ა.შ.) და მახასიათლების გამო უშუალოდ მის მიმართ დევნის განხორციელების დამადასტურებელი ინფორმაცია (მაგ. დაკავება პოლიტიკური აქტიურობის გამო, ახლო ნათესავების დევნა და ა.შ.). სასამართლოს განჩინებების ანალიზით დგინდება, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დევნის, წამების, არასათანადო მოპყრობისა და სასჯელის რისკების შეფასების დროს გენერალური პროკურატურა და საერთო სასამართლოები არ ითვალისწინებენ თხოვნის

---

[10] სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ შესწავლილი საქართველოს უზენაესის სასამართლოს განჩინებები ექსტრადიციის დასაშვებობის ან დაუშვებლობის შესახებ. იხ: http://prg.supremecourt.ge/
ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების ადვოკატებთან გასაუბრება

[11] Jabari v. Turkey, App. No. 40035/98, (11 July 2000); Singh and Others v. Belgium, App. No. 33210/11, (2 October 2012), para. 104.

[12] Salah Sheekh v. the Netherlands, App. No. 1948/04 (11 January 2007) para. 136.

[13] M.S.S. v. Belgium and Greece, GC, App. No. 30696/09 (21 January 2011) paras. 344-359; Hirsi Jamaa and Others v. Italy, App. No. 27765/09 (23 February 2012) paras. 122-158; M.A. v. Switzerland, App. No. 52589/13, (18 November 2014), para.55.

[14] სუსგ, 2020 წელი, 27 ოქტომბერი, N2კ-43-I-20

[15] სუსგ, 2019 წელი, 24 ივნისი, 2კ-23-I-19

გამგზავნ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით არსებულ ზოგად მდგომარეობას. სასამართლოები ამ შემთხვევაშიც უთითებენ ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე და აღნიშნავენ ,,ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის თანახმად, მომთხოვნ სახელმწიფოში არსებული სიტუაციის ზოგადი აღწერა და უფლებების პოტენციურად დარღვევის შესახებ განცხადება არ არის საკმარისი. [..] ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლებების დარღვევის საფრთხე დადასტურებული უნდა იყოს კონკრეტული მტკიცებულებებით, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, პირს ექსტრადიციის შემთხვევაში ემუქრება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფრთხე[16]". მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა შეესაბამება პირის ინდივიდუალური გარემოებებისა და რისკის შეფასების სტანდარტს, პრაქტიკაში მსგავსი მიდგომა ხშირად არ ხორციელდება. საერთო სასამართლოები არ მსჯელობენ თხოვნის გამგზავნ ქვეყანაში არსებული ზოგადი მდგომარეობა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის ინდივიდუალური მდგომარეობის გათვალისწინებით ხომ არ გამოიწვევს უფლების დარღვევას. მაგალითისთვის უნდა აღინიშნოს სოციალური სამართლიანობის ცენტრის პრაქტიკაში არსებული რუსეთის მოქალაქის ა. ბანდიუკოვის საქმე. აღნიშნულ საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლომ დასაშვებად ცნო ექსტრადიცია, მიუხედავად იმისა, რომ ა. ბანდიუკოვმა სასამართლოს მიუთითა რუსეთის ფედერაციაში სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დარღვევის ხშირი პრაქტიკის, სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის რისკებზე და საპატიმრო დაწესებულებაში არსებული პირობების შესახებ, წარადგინა მტკიცებულებების დაკავების პროცესში რუსეთის ფედერაციის სამართალდამცავი უწყების წარმომდგენლების შესაძლო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით და დაადასტურა ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა (კორონალური პათოლოგიები), სასამართლომ არ შეაფასა აღნიშნული ინდივიდუალური გარემოებების შესაბამისობა რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით არსებულ მდგომარეობასთან და კვლავ ზოგადი მითითებით შემოიფარგლა.

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დევნის, წამებისა და არადამიანური მოპყრობის რისკების განსაზღვრისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის კუთხით არსებულ ვითარებაზე ყურადღების გამახვილება მაშინ როდესაც ინფორმაციის მოპოვების ღია წყაროებით დასტურდება უფლების დარღვევის მძიმე შემთხვევები ერთი მახასიათებლის მქონე პირების მიმართ.[17] მსგავს შემთხვევებში სხვადასხვა ქვეყნები აუცილებლად ითვალისწინებენ კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ ზოგად მდგომარეობას და ამ გარემოების გათვალისწინებით იღებენ ექსტრადიციის გადაწყვეტილებას. თუმცა, საქართველოს საერთო სასამართლოები სხვა ქვეყნისგან განსხვავებით მსგავს მიდგომებს არ ითვალისწინებენ, რის გამოც ჩნდება ეჭვი კონკრეტული სახელმწიფოს მიმართ ლოიალობაზე. მაგალითისთვის შეიძლება აღინიშნოს 2017-2018 წლებში ფეტულაჰ გიულენის მიმდევართა ექსტრადიციის დასაშვებობა საქართველოდან თურქეთის რესპუბლიკაში. 2016 - 2017 წლებში თურქეთის რესპუბლიკაში ფეტულაჰ გიულენის მომხრეების მიმართ დევნის, წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევები აღიარა ევროპული სახელმწიფოების

16 სუსგ N2კ-20-I-20, 2020 წლის 5 მაისი

[17] მ.მ.რ. ნიდერლანდების წინააღმდეგ;
სალაჰ შიიხი ნიდერლანდების წინააღმდეგ;

უმეტესობამ, საერთაშორისო ორგანიზაციები გიულენის მომხრეთა დევნის მაღალ რისკებზე უთითებდნენ ქვეყნები უარს ამბობდნენ გიულენის მომხრეთა თურქეთში ექსტრადიციაზე[18.] თუმცა, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მუსტაფა ემრე ჩაბუქის და ფეტულაჰ გიულენის სხვა მომხრეთა ექსტრადიციის დასაშვებობის მოთხოვნით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომელმაც მოთხოვნა დააკმაყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ მუსტაფა ემრე ჩაბუქისა და სხვა პირების დევნის რისკები მათი შეხედულებების გამო დასტურდებოდა მათ შორის თურქეთის რესპუბლიკის მიერ წარდგენილი დაუსაბუთებელი ბრალდებითაც, სახელმწიფომ თურქეთის მთავრობის მიმართ პოლიტიკური ლოიალობის გამო დაარღვია ექსტრადიციის აკრძალვის პრინციპი.[19]

უნდა აღინიშნოს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების ადვოკატებიც უთითებენ საერთო სასამართლოების მიერ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების ინდივიდუალური გარემოებების არასათანადოდ შესწავლაზე და ჩვენთან საუბარში აღნიშნავენ, რომ საფრთხის რეალურობის შესაფასებლად სახელმწიფო ძალიან მაღალ სტანდარტს აწესებს და ცალკეულ შემთხვევაში პირს შესაძლოა ობიექტურად არ ჰქონდეს სტანდარტის დაკმაყოფილების საშუალება, რაც არ გამორიცხავს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის უფლებების შელახვის რისკს. ადვოკატთა განმარტებით, საერთო სასამართლოები ყურადღების მიღმა ტოვებენ თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა ზოგად მდგომარეობას და აღნიშნულის ასახვას ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებში.

უფლების დარღვევის რისკების გაბათილება დიპლომატიური გარანტიების მეშვეობით

საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში, თურქეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში ექსტრადიციის პროცესის მიმდინარეობისას ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მითითებას ქვეყანაში ადამიანის უფლებების დარღვევის გათვალისწინებით დევნის, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის რისკების თაობაზე გენერალური პროკურატურა კონკრეტული ქვეყნის მიერ გაცემული დიპლომატიური გარანტიებით და მითითებული ქვეყნების ადამიანის უფლებების საერთაშორისო და ევროპულ მექანიზმებში მონაწილეობით აბათილებს. სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ შესწავლილი ექსტრადიციის შემთხვევებით დასტურდება, რომ ექსტრადიციის დასაშვებობის მიმართვის შემთხვევაში გენერალური პროკურატურა სასამართლოს წარუდგენს თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს მიერ გაცემულ დიპლომატიურ გარანტიებს იმასთან დაკავშირებით, რომ პირი არ დაექვემდებარება წამებას, არასათანადო მოპყრობას, მის მიმართ დაცული იქნება სამართლიანი სასამართლოს პრინციპი და ექნებათ საქმის თანასწორ პირობებში განხილვის შესაძლებლობა. ამასთან ერთად, გენერალური პროკურატურა ხშირად უთითებს, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ უფლების დარღვევის რისკს ამცირებს ის გარემოება, რომ თხოვნის გამგზავნი სახელმწიფო ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმების მონაწილეა. ამ

[18] გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის რამდენიმე მიწი სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნია თურქეთის რეპუბლიკაში გიულენის მომხრეთა ექსტრადიცია. გადაწყვეტილებების მოკლე მიმოხილვა იხ. https://rb.gy/0zf6hv

[19] არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება მუსტაფა ემრე ჩაბუქის საქმეზე, იხ: https://emc.org.ge/ka/products/arasamtavrobo-organizatsiebi-mustafa-chabukis-turketshi-savaraudo-ekstraditsiis-sakmeze-sakartvelos-mtavrobas-mimartaven

მიმართებით სასამართლო გადაწყვეტილებებში ხშირად გვხვდება პროკურატურის განმარტება, რომ მაგალითად თურქეთის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი მხარეა, რაც მათი აზრით აზღვევს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დევნის, წამებისა და არასათანადო მოპყრობის რისკებს. პროკურატურის ეს მითითებები უმეტეს შემთხვევაში გაზიარებულია ორივე ინსტანციის სასამართლოს მიერ. მაგალითად, საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში იაროსლავ სუმბაევის ექსტრადიციის დასაშვებობის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებაში აღნიშნულია ,,მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილ გარანტიას, რომლის თანახმადაც, ექსტრადიციის შემთხვევაში ი. სუმბაევი ისარგებლებს საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრული უფლებებით. ექსტრადიციის მოთხოვნა მიზნად არ ისახავს მის დევნას პოლიტიკური თუ სხვა ნიშნების გამო. ამასთან, იგი არ დაექვემდებარება წამებას, არაადამიანურ, ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს. საკასაციო პალატას არ გააჩნია რაიმე სახის საფუძველი საეჭვოდ მიიჩნიოს კომპეტენტური ორგანოდან, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურიდან მიღებული გარანტიები.[20]“ უნდა აღინიშნოს, რომ იაროსლავ სუმბაევის საქმე საკმაოდ გახმაურდა საქართველოში და არაერთი ორგანიზაცია მოუწოდებდა სახელმწიფოს უარი ეთქვა ექსტრადიციაზე, რამდენადაც გარდა იმისა რომ ი. სუმბაევის მიმართ წამებისა და არასათანადო მოპყრობის რისკები არსებობდა, ემუქრებოდა რუსეთის ფედერაციაში მკვლელობის გამო ახალი ბრალდების წარდგენა, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა.[21] აღნიშნულის მიუხედავად ორივე ინსტანციის სასამართლომ დასაშვებად ცნო ექსტრადიცია. 2020 წელს ი. სუმბაევმა ადვოკატის მეშვეობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ ის რუსეთის ფედერაციის ციხეში წამებას და არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა. [22]

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, დიპლომატიური გარანტიების გაცემის საფუძველზე შესაძლებელია პირის ექსტრადირება, გარანტიები საკმაოდ მყარი უნდა იყოს იმისთვის, რომ განეიტრალდეს პირისთვის სერიოზული ზიანის მიყენების საფრთხე. დიპლომატიური გარანტიების შემოწმება საკმაოდ პრობლემატურია მაშინ, როდესაც პიროვნებას, ექსტრადირების შემთხვევაში, წამება ან სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმები შეიძლება დაემუქროს[23.] წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებელის ანგარიშში, გამოთქმულია აზრი, რომ „ასეთი გარანტიები არასანდო და არაეფექტურია წამებისგან და სასტიკი მოპყრობისგან დაცვის მხრივ: ამგვარი გარანტიები ჩვეულებრივ გაიცემა სწორედ ისეთი ქვეყნების მიერ, სადაც წამების პრაქტიკა სისტემატურად გამოიყენება; ადამიანის ასეთ ქვეყნებში დაბრუნების შემდგომი მონიტორინგის მექანიზმები არ წარმოადგენს წამების აღკვეთის გარანტიას; დიპლომატიური გარანტიების შესრულება არ არის სამართლებრივად სავალდებულო, ამიტომ მათი დარღვევისთვის აღნიშნულ ქვეყანას არანაირი სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.[24] შესაბამისად, სახელმწიფოებმა დიპლომატიური გარანტიები არ უნდა განიხილონ წამებისგან ან სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმებისგან დაცვის

[20] სუსგ N2კ-18-I-19, 2019 წლის 31 მაისი

[21]საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ი. სუმბაევის საქმეზე, იხ: https://civil.ge/ka/archives/338586

[22] ინფორმაცია ი. სუმბაევის წამების შესახებ, იხ: https://civil.ge/ka/archives/373277

[23] გადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სასამართლო პრაქტიკის გზამკვლევი, იმიგრაციის საკითხები, 2019, ვ. 20

[24] ,,სახელმძღვანელო ექსტრადიციისა და ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის შესახებ“, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR) დაცვის პოლიტიკის და სამართლებრივი რჩევის სექტორი საერთაშორისო დაცვის სერვისის განყოფილება ჟენევა, 2008 წლის აპრილი, გვ. 20

გარანტიებად, მაშინ, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი იმის სავარაუდოდ, რომ ექსტრადირების შემთხვევაში კონკრეტული პიროვნება წამების ან სასტიკი მოპყრობის სხვა ფორმების მსხვერპლი შეიძლება გახდეს[25].

ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, კონვენციის მე-3 მუხლის ირღვევა, თუკი არსებობს ექსტრადიციის საწინააღმდეგო მნიშვნელოვანი საფუძვლები. მაგალითად, საქმეზე Yefimova v. Russia, სასამართლომ მიიჩნია, რომ ყაზახეთის მიერ გაცემული დაპირება დიაბეტით დაავადებული განმცხადებლის სათანადო მკურნალობასთან დაკავშირებით იყო ზოგადი ხასიათის. ასევე, ყაზახეთმა ვერ გასცა ეფექტური დიპლომატიური ან მონიტორინგის მექანიზმის არსებობის გარანტია, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესრულების ზედამხედველობას. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რადგან რუსეთი ექსტრადიციის გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო მხოლოდ ბუნდოვან და არასანდო დიპლომატიურ გარანტიებს.[26] საქმეზე Aswat v. United Kingdom, სასამართლომ მხედველობაში მიიღო განმცხადებლის მძიმე ჯამრთელობის მდგომარეობა და ის ფაქტი, რომ ნათელი არ იყო თუ რა პირობებში და რა ხანგრძლივობით მოუწევდა მას მიმღები სახელმწიფოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსება. მიმღებ სახელმწიფოში განსხვავებული და პოტენციურად მტრული გარემოს რისკის გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ ბრალდებულის ექტრადიცია გამოიწვევდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუარესებას, რაც წინააღმდეგობაში მოვიდოდა კონვენციის მე-3 მუხლთან.[27]

შესაბამისად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კონვენციის ხელმომწერი ქვეყნის მიერ გაცემული დიპლომატიური გარანტიები ვერ ჩაითვლება კონვენციის მე-3 მუხლის დაცვის უპირობო გარანტიად. საქმეზე Othman v. UK სასამართლომ შეიმუშავა კრიტერიუმები დიპლომატიური გარანტიების ხარისხის და სანდოობის შესამოწმებლად. მათ შორის, სასამართლო მხედველობაში იღებს:

- რამდენად მკაფიო და კონკრეტულია გაცემული გარანტიები;
- გამგზავნ და მიმღებ ქვეყანას შორის ორმხრივი ურთიერთობების სიძლიერე და მიმღები ქვეყნის მიერ მსგავსი გარანტიების დაცვის წინარე გამოცდილება;
- მიმღები ქვეყნის მიერ გარანტიების შესრულების მონიტორინგის შესაძლებლობა;
- მიმღებ ქვეყანაში წამების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური მექანიზმის არსებობა;
- იყო თუ არა განმცხადებელი მიმღებ ქვეყანაში არაჰუმანური მოპყრობის მსხვერპლი.[28]

აღნიშნული სტანდარტით იხელმძღვანელა გაერთიანებული სამეფოს ვესტმინსტერის მაგისტრატმა სასამართლომ საქმეზე Russian Federation v. Olga Egorova, Dmitry Smychkovsky; Ion Tsurcan, and Fyodor Kindrachuk. სასამართლომ გაითვალისწინა რუსეთის მიერ ევროპის ადამიანის

---

[25] წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის საკითხებზე სპეციალური მომხსენებელის ანგარიში „შუალედური ანგარიში გენერალური ასამბლეისთვის“, U.N. Doc. A/60/316, 2005 წლის 30 აგვისტო, პარაგრაფი 51

[26] Yefimova v. Russia, App. No. 39786/09, (19 February 2013), para 203

[27] Aswat v. United Kingdom, App. No. 17299/12, (16 April 2013) paras 48-58

[28] Othman v. UK, App. No. 8139/09, (17 January 2012), para 189

უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების შესრულების ვალდებულების ხშირი დარღვევა და დაძაბული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები.

ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დასტურდება, რომ დიმპლომატიურ გარანტიებს მაშინ შეიძლება დაეყრდნოს ქვეყანა, როდესაც მათი ეფექტიანობა დგინდება და თხოვნის მიმღებ ქვეყანას აქვს მონიტორინგის შესაძლებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, გაუგებარია როგორ ახორციელებს დიპლომატიური გარანტიების შესრულების მონიტორინგს საქართველო და რა მექანიზმებს იყენებს ამისთვის. ეს საკითხი განსაკუთრებით საყურადღებოა რუსეთის ფედერაციის შემთხვევაში. ამ მიმართებით საინტერესოა საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირებული რამზან ახიადოვის საქმე. ამ შემთხვევაშიც საქმის მასალები და რ. ახიადოვთან დაკავშირებული გარემოებები ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ (მისი რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებების გამო) დევნის, წამების რისკებზე მიუთითებდა, თუმცა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა მიიღო ექსტრადიციის დაკმაყოფილების გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ არსებობდა რუსეთის ფედერაციის მიერ გაცემული გარანტიების მონიტორინგის შესაძლებლობა.[29] თუმცა, მას შემდეგ რაც სოციალური სამართლიანობის ცენტრმა და ადამიანის უფლებათა ცენტრმა მიმართეს სამინისტროს და გამოითხოვეს ინფორმაცია მონიტორინგისა და გარანტიების შესრულების შესახებ, სამინისტრომ უბრალოდ არ გასცა ინფორმაცია, რაც აჩენს ლეგიტიმურ ეჭვს მონიტორინგის შეუძლებლობისა და დიპლომატიური გარანტიების არაეფექტურობის შესახებ.[30]

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების მიმართ საექსტრადიციო პროცედურების დროს გამოვლენილი სხვა დარღვევები

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტები

საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში, თურქეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში დაწყებული ექსტრადიციის საქმეების შესწავლისას და ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთა ადვოკატებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ექსტრადირებას დაქვემდებარებულ პირთა მიმართ როგორც წესი აღკვეთის ღონისძიების სახით საექსტრადიციო პატიმრობა გამოიყენება. ადვოკატები უთითებენ, რომ ხშირ შემთხვევაში საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენება დაუსაბუთებელია და მისი გამოყენების წინაპირობები არ არსებობს.

,,სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მიხედვით, ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დაკავება და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვა დასაშვებია თუ წარმოდგენილია შუამდგომლობა ექსტრადიციის თაობაზე, პირი საერთაშორისო ძებნილია, თხოვნის გამგზავნმა სახელმწიფომ მოითხოვა დროებითი პატიმრობის გამოყენება. აღნიშნულ წინაპირობებთან ერთად, დაკმაყოფილებული უნდა იყოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, რომლებიც შეეხება

[29] ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება რამზან ახიადოვის საქმეზე, იხ:https://publika.ge/iusticiis-ministri-rusetshi-eqstradirebuli-patimris-mdgomareobis-shesakheb-informacias-ar-gvawvdis-hrc/

[30]ორგანიზაციებმა იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების მოთხოვნით სასამართლოს მიმართეს. იხ: https://emc.org.ge/ka/products/hrc-da-emc-iustitsiis-ministrisgan-sajaro-informatsias-sasamartlos-dzalit-miigheben

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანს და საფუძვლებს.[31] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის თანახმად აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეიძლება იქნეს გამოყენებული მაშინ როდესაც ის ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულის მიმალვა, მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელშეშლა, მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელშეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა. ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა. შესაბამისად, საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში აუცილებლად, ობიექტური მტკიცებულებების საფუძველზე უნდა დასტურდებოდეს რომ იგი ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელშეშლა. ადვოკატებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ხშირ შემთხვევაში მსგავსი ობიექტური მტკიცებულებებით არ დასტურდება ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, თუმცა, პროკურატურა ფორმალურად მიუთითებს მიმალვის რისკზე და სასამართლოც კრიტიკული განხილვის გარეშე აკმაყოფილებს შუამდგომლობას. ადვოკატების შეფასებით, პროკურატურისა და სასამართლოს ფორმალური მიდგომა იმითაც დასტურდება, რომ თუ ექსტრადიციის დასაშვებობის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება 9 თვიან საექსტრადიციო პატიმრობის ვადაში ვერ მოესწრო, გენერალური პროკურატურა პატიმრობის ვადის ამოწურვამდე რამდენიმე დღით ადრე შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს და ითხოვს საექსტრადიციო პატიმრობის ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლას, მაშინ როდესაც სახეზეა იგივე მდგომარეობა, რაც საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების ეტაპზე. შესაბამისად, ეჭვი, რომ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება თვითნებურად და საკმარისი საფუძვლის გარეშე ხდება, რაც ცხადია უხეშად არღვევს ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირთა უფლებებს.

თხოვნის გამგზავნის სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ბრალდებების დაუსაბუთებლობა

ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირების ადვოკატებთან გასაუბრებით დგინდება, რომ საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში, თურქეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში ექსტრადიციის პროცესში ხშირად დაუსაბუთებელი ბრალდების საფუძველზე ხორციელდება. თხოვნის გამგზავნი სახელმწიფოები ცალკეული პირების მიმართ ინტერესის შემთხვევაში მათ მიმართ აბსურდული ბრალდებებით იწყებენ გამოძიებას და აყენებენ ექსტრადიციის შუამდგომლობას. ადვოკატების განმარტებით, მსგავსი პრობლემა ყველაზე ხშირად თავს იჩენს რუსეთის ფედერაციაში ჩრდილოკავკასიელთა (ეთნიკური ჩეჩნების) ექსტრადიციის დროს. მსგავს შემთხვევებში, როგორც წესი ეთნიკური ჩეჩნები იძებნებიან ტერორისტულ ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით და ამ საფუძვლით ხდება მათი ექსტრადირების მოთხოვნა. თუმცა ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირები უთითებენ, რომ მათ მიმართ გამოძიების დაწყების საფუძველი განსხვავებული რელიგიური შეხედულებები და კადიროვის რეჟიმის მიმართ გამოთქმული კრიტიკა, რის გამოც რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლნი აღმოჩნდებიან. სწორედ მსგავსი პრობლემა იკვეთებოდა საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირებული რამზან ახიადოვის

[31] იხ. სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი

საქმეში. რუსეთის ფერედაცია უთითებდა, რომ რამზან ახიადოვი 2013-2014 წლებში გაემგზავრა სირიაში და შეუერთდა "ისლამურ სახელმწიფოს". ამის საპირისპიროდ, რამზან ახიადოვმა დაკავებისთანავე განმარტა, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები სიმართლეს არ შეესაბამებოდა, რადგან 2013-2017 წლებში, იგი თურქეთის რესპუბლიკაში ცხოვრობდა და მუშაობდა, რომლის დამადასტურებელი მტკიცებულებები მან სასამართლოს წარუდგინა კიდეც. ამასთან დაკავებული განმარტავდა, რომ ის იდევნებოდა ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რამზან კადიროვის კრიტიკის გამო, რის გამოც ის იძულებული გახდა საცხოვრებლად თურქეთში გადასულიყო. გასაუბრების ოქმში ახიადოვი კადიროვის მხრიდან შევიწროების და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტებზე უთითებდა და ამ ფაქტების დასადასტურებლად, მისი ოჯახის წევრების გამოკითხვას ითხოვდა, თუმცა სასამართლომ მისი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. დაკავებული და მისი ადვოკატი ეროვნულ დონეზე მიმდინარე პროცესების ფარგლებში მუდმივად ამტკიცებდნენ, რომ ექსტრადირების შემთხვევაში რამზან ახიადოვი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მაღალი რისკის ქვეშ აღმოჩნდებოდა, რის გამოც მისი გადაცემა რუსეთის ხელისუფლებისთვის დაუშვებელი იყო. თუმცა, სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია ექსტრადიცია. სასამართლოს განმარტებით, რამზან ახიადოვის შემთხვევაში ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელიც სასამართლოს დაარწმუნებდა, რომ იგი ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დარღვევის მსხვერპლი გახდებოდა. ამასთან ერთად, სასამართლომ მიუთითა, რომ რამზან ახიადოვის მიმართ უფლებების დარღვევის რისკი არ არსებობდა, რამდენადაც წარმოდგენილი იყო რუსეთი გენერალური პროკურატურის გარანტია, რომ ახიადოვი არ დაექვემდებარებოდა წამებასა და არასათანადო მოპყრობას, აქვე სასამართლომ მიუთითა, რომ რუსეთის ფედერაციას აღებული აქვს საერთაშორისო და ევროპული ვალდებულები ადამიანის უფლებების სფეროში და ეს ვალდებულებები ქმნიან გარანტიებს, რომ რუსეთის ფედერაციაში დაცული იქნება ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და 2019 წლის 19 სექტემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ რამზან ახიადოვის ექსტრადირება განახორციელა.[32]

ცხადია, ექსტრადიციის სპეციფიკა მდგომარეობს იმაშიც, რომ თხოვნის მიმღები სახელმწიფო სისხლის სამართლის საქმის გარემოებების შინაარსში არ შედის და ბრალდების დადასტურება საქართველოს საერთო სასამართლოების პრეროგატივა არ არის, თუმცა, მაში როდესაც ექსტრადიციის თხოვნის გამგზავნ სახელმწიფოში კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის უფლებების დარღვევის შესახებ ღია წყაროებით ვრცელდება ინფორმაცია, სასამართლოს უნდა შეეძლოს ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის შემთხვევაში რისკების განსაზღვრა და მტკიცებულებების დაყრდნობით ექსტრადიციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. მით უფრო რუსეთში და სპეციფიკურად ჩეჩნეთიში არსებული პოლიტიკური რეჟიმისა და უფლების დარღვევის მასშტაბის გათვალისწინებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ეთნიკური ჩეჩნების რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირების შემთხვევაში საფრთხეს ხედავენ ევროპული ქვეყნები. მაგალითად, გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ უარი თქვა ჩეჩნური წარმომავლობის პირის ექსტრადირებაზე იმ დასაბუთებით რომ არსებობს

[32] რამზან ახიადოვის ექსტრადირების შესახებ სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადება, იხ: https://emc.org.ge/ka/products/emc-ramzan-akhiadovis-rusetis-federatsiashi-ekstradirebis-fakts-ekhmaureba

მის მიმართ წამებისა და არასათანადო მოპყრობის რისკი[33]. ამ შემთხვევაშიც რუსეთის ფედერაცია ამტკიცებდა რომ ჩეჩნური წარმოშობის პირი სირიაში, ტერორისტული ორგანიზაციის წევრი იყო.

ადამიანის უფლებების ზოგადი მდგომარეობის მიმოხილვა რუსეთის ფედერაციაში, თურქეთის რესპუბლიკაში, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში

რუსეთის ფედერაცია

რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებების დარღვევის პრაქტიკაზე არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია მიუთითებს. Human Rights Watch -ის 2020 და 2021 წლის ანგარიშების[34] მიხედვით რუსეთის ფედერაციაში ადამიანის უფლებების მდგომარეობა უარესდება. ორგანიზაციის შეფასებით, არსებულ გამოწვევებს სახელმწიფო კვლავ პასუხობს სამოქალაქო აქტიურობის აკრძალვით, რეპრესიული კანონებით და მოქალაქეთა დემონსტრაციული დევნით. ხშირია პოლიტიკურად მოტივირებული დევნის, დაკავების შემთხვევები. ამასთან ერთად, 2020 წელს ოპოზიციური ლიდერის ნავალნის მოწამლის ფაქტმა კიდევ უფრო დაძაბა რუსეთსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა. ორგანიზაცია საუბრობს რუსეთის ფედერაციაში არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ დაწყებულ კამპანიაზე, რაც გამოიხატა ე.წ. ,,უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონის მიღებაში, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენს ორგანიზაციების მუშაობის შემაფერხებელ საშუალებას.

ორგანიზაციის განმარტებით რუსეთის ფედერაციაში კვლავ ფართოდ არის გავრცელებული წამების, არასათანადო მოპყრობის შემთხვევები, განსაკუთრებით წინასწარი პატიმრობის ადგილებში და ციხეებში. თუმცა, ხელისუფლება როგორც წესი უარყოფს და უარს ამბობს წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიებაზე. კანონის უზენაესობის პრობლემებზე და სამოქალაქო უფლებების შელახვაზე მიუთითებს Freedom House -ის 2020 წლის ანგარიში. მითითებულია, რომ ხშირია პოლიციის მიერ ძალის გადამეტება, დაკავებულთა წამება[35].

რუსეთის ფედერაციაში წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე მიუთითებს Amnesty International და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი. რუსეთის ფედერაციის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პირების უფლებები ხშირად ირღვევა, მათ შორის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს პატიმართა

---

[33]დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს 2016 წლის გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა, იხ: https://www.dresden-klein.de/keine-auslieferung-nach-russland/

[34]Human Rights Watch -ის 2020 და 2021 წლის ანგარიშები, იხ: https://www.hrw.org/world-report/2020/country-chapters/russia#, https://www.hrw.org/world-report/2021/country-chapters/russia#33fe4a

[35]Freedom House -ის 2020 წლის ანგარიში, იხ: https://freedomhouse.org/country/russia/freedom-world/2020

ტრანსპორტირების წესი[36] და სამედიცინო სერვისებზე წვდომის არარსებობა.[37] რუსეთის საპატიმროებში არსებულ მძიმე ვითარებაზე ყურადღება გამახვილებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო ანგარიშში. ანგარიშში საუბარია სასჯელაღსრულების დაწესებულებების გადატვირთულობაზე, არასაკმარისი ვენტილაციისა და სანიტარიის პრობლემებზე, ფიზიკური შეურაცხყოფისა და ძალადობის შემთხვევებზე. სამედიცინო რესურსებისა და საკვებზე შეზღუდულ წვდომაზე. ანგარიშში ხაზგასმულია, რომ ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიღება პრობლემად რჩება, ხოლო მსჯავრდებულებს საკვებით ხშირად მათი ოჯახები ან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ.[38] ამასთან ერთად, ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე, რომ წლების განმავლობაში რუსეთის ფედერაციის საპატიმროების ადმინისტრაცია ხელს უშლიდა დამკვირვებლებს მოესმინათ პატიმრების საჩივრები. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) წევრებს მიეცათ ციხეების ნახვის შესაძლებლობა, რუსეთის ფედერაციამ არ მისცა ნებართვა ბოლო ანგარიშის გამოქვეყნებაზე[39].

თურქეთის რესპუბლიკა

საერთაშორისო ორგანიზაციები უთითებენ თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლების დარღვევის მძიმე შემთხვევებზე. Human Rights Watch –ის ანგარიშის მიხედვით უკანასკნელი ოთხი წელია ქვეყანა ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისას და დემოკრატიის კრიზისს განიცდის. ხშირია გამოხატვის თავისუფლებისა და სამოქალაქო უფლებების შელახვის ფაქტები. ორგანიზაცია საუბრობს წამების, არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე პოლიციის განყოფილებებში და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ ამ მხრივ ხშირია ეთნიკური ქურთების და ფეტულაჰ გიულენის მხარდამჭერთა წამების ფაქტები. ამასთან ერთად, თურქეთი აგრძელებს გიულენის მხარდამჭერთა ექსტრადირების მოთხოვნას სხვადასხვა ქვეყანაში, ხოლო ექსტრადირებული პირები თურქეთში დევნას ექვემდებარებიან. ანგარიშში მითითებულია, რომ 2019 წელს CPT-იმ შეისწავლა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა, თუმცა თურქეთის რესპუბლიკამ ანგარიშის გამოქვეყნებაზე ნებართვა არ გასცა[40].

თურქეთის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებების მდგომარეობა მძიმედ არის შეფასებული ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2019 წლის ანგარიშში, სადაც საუბარია დოკუმენტირებული საქმეებზე რომლებიც ეხება საპატიმრო დაწესებულებებში თვითმკვლელობების, ძალადობის შემთხვევებს[41]. აქვე მითითებულია ფეტულაჰ გიულენის მხარდამჭერების მიმართ თვითნებურ დაკავებებზე, წამებისა, არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე. [42]

---

[36] Prison transportation in Russia - Amnesty International, 2017, გვ. 18-19. ხელმისაწვდომია: https://www.amnesty.org/download/Documents/EUR4668782017ENGLISH.PDF

[37] Prison transportation in Russia - Amnesty International, 2017, გვ. 23 ხელმისაწვდომია: https://www.amnesty.org/download/Documents/EUR4668782017ENGLISH.PDF

[38] RUSSIA 2019 HUMAN RIGHTS REPORT, 2019, გვ. 9-10, ხელმისაწვდომია: https://www.state.gov/wp-content/uploads/2020/03/RUSSIA-2019-HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf

[39] RUSSIA 2019 HUMAN RIGHTS REPORT, 2019, გვ. 12, ხელმისაწვდომია: https://www.state.gov/wp-content/uploads/2020/03/RUSSIA-2019-HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf

[40] Human Rights Watch –ის 2020 წლის ანგარიშიhttps://www.hrw.org/world-report/2020/country-chapters/turkey

[41] აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2019 წლის ანგარიში იხ:https://www.state.gov/wp-content/uploads/2020/03/TURKEY-2019-HUMAN-RIGHTS-REPORT.pdf, გვ. 4

[42]აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2019 წლის ანგარიში, გვ.2

ფეტულაჰ გიულენის მხარდამჭერების მიმართ თვითნებური დაკავებების, დაუსაბუთებელი ბრალდებების შესახებ საუბრობს Amnesty International და უთითებს, რომ თურქეთში საგანგებო მდგომარეობის გაუქმების მიუხედავად, მაინც შესამჩნევია განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების დევნა. პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, იურისტებს, უფლებადამცველებს უსაფუძვლო ბრალდებებს არასანდო მტკიცებულებების საფუძველზე უყენებენ.[43]

აზერბაიჯანის რესპუბლიკა

ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში კვლავ მძიმედ ფასდება. საერთაშორისო ორგანიზაციები პოლიტიკურად მოტივირებულ დაკავებებზე და დევნაზე მიუთითებენ. Amnesty International-ის მიხედვით მიუხედავად იმისა, რომ 2019-2020 წლებში აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტმა 50-მდე პოლიტიკური პატიმარი გაათავისუფლა დაახლოებით 30-მდე პირი კვლავ პატიმრობაში რჩება. ამასთან ერთად კვლავ გრძელდება დევნა განსხვავებული აზრის გამო და ალიევის რეჟიმის კრიტიკოსების აზერბაიჯანის რესპუბლიკაში იძულებითი დაბრუნება. ორგანიზაციის ინფორმაციით 2018 წლის 12 ივნისს დააკავეს პოლად ასლანოვი, ახალი ამბების ვებ – გვერდების Xeberman და Press-az რედაქტორი, რომელიც, სავარაუდოდ, ტურიზმის სექტორში კორუფციას იძიებდა, დააპატიმრეს და მას ღალატის ბრალდება წაუყენეს, ხოლო შემდგომ დეკემბერში პროკურატურამ მკვლელობის მუქარის ახალი ბრალდებები დაამატა.[44]

Amnesty International-ის და Human Rights Watch-ის შეფასებით, კვლავ ხშირია წამებისა და არასათანადო მოპყრობის შემთხვევები ციხეებში და პოლიციის განყოფილებებში. თუმცა, როგორც წესი ხელისუფლება უარს ამბობს მსგავსი შემთხვევების ეფექტიან გამოძიებაზე. ამასთან ერთად, შეიმჩნევა იურისტებისა და უფლებადამცველების შეზღუდვის შემთხვევები[45], რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებს.

შეჯამება

წარმოდგენილ დოკუმენტში განხილულია საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში, თურქეთის რესპუბლიკაში და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში განხორციელებული ექსტრადიციის პროცესისთვის დამახასიათებელი ძირითადი ნეგატიური და უფლებების საწინააღმდეგო პატერნები. ბოლო პერიოდში განხორციელებული ექსტრადიციის შემთხვევებში რუსეთის ფედერაციაში, თურქეთის რესპუბლიკაში და აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკის გათვალისწინებით, იუსტიციის სამინისტროსა და საერთო სასამართლოების მიერ არ ხდება ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დევნის, წამებისა და არასათანდო მოპყრობის რისკების სათანადო გაზომვა, რაც აღნიშნულ პირებს ფუნდამენტური უფლებების დარღვევის და

[43] Amnesty International-ის 2020 წლის ანგარიში, იხ: https://www.amnesty.org/en/countries/europe-and-central-asia/turkey/report-turkey/

[44] Amnesty International-ის 2020 წლის ანგარიში, იხ: https://www.amnesty.org/en/countries/europe-and-central-asia/azerbaijan/report-azerbaijan/

[45] Human Rights Watch-ის 2020 წლის ანგარიში, იხ: https://www.hrw.org/world-report/2020/country-chapters/azerbaijan#fd2631

ევროპის საბჭოს შეფასება აზერბაიჯანის შესახებ, იხ: https://www.coe.int/en/web/commissioner/-/azerbaijan-should-ease-the-pressure-on-free-speech-improve-the-situation-of-lawyers-and-continue-to-work-towards-better-livelihood-opportunities-for-i

ზოგიერთ შემთხვევაში სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და სასიცოცხლო უსაფრთხოების გარანტიების გარეშე ტოვებს. ყველა ამ საქმეში ჩანს საქართველოს ხელისუფლების ჭარბი ლოიალური მეზობელი ქვეყნების მიმართ და სწორედ პოლიტიკური ინტერესების გამო ადამიანის უფლებათა დაცვის უზენაესი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მიზნის უგულებელყოფა. მეზობელი ქვეყნის მოქალაქეებისთვის საქართველო კავკასიის რეგიონში დემოკრატიულ და უსაფრთხო ქვეყნად აღიქმევოდა და კრიზისის დროს საქართველოში მათი შემოსვლაც, ამ წარმოდგენას და განცდას უკავშირდება, თუმცა სამწუხაროდ, ბოლო წლების გამოცდილება საქართველოს მიმართ ამგვარ გაგებას ცვლის არა მხოლოდ მოქალაქეებში, არამედ საერთაშორისო პოლიტიკურ დონეზეც.